




## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### მგლინავასებრნი



ჩვეულებრივი მგლინავა



ბალის მგლინავა

მგლინავასებრნი (Certhiidae), ფრინველთა ოჯახი ბელურასნაირთა რიგისა. აერთიანებს 2 გვარს: ნამდვილ მგლინავებსა (Certhia) და ლაქებიან მგლინავებს (Salpornis). გავრცელებულია ევროპის, აზიის (სამხრ-ით ჰიმალაის მთებამდე), აფრიკისა და ამერიკის ტყეებში. საქართველოში გვხვდება 2 სახეობა: ჩვეულებრივი

მგლინავა (*C. familiaris*) და მოკლეთითა, ანუ ბალის მგლინავა (*C. brachydactyla*). ბუდეს იკეთებენ ხის ბზარებსა და ქერქის სიცარიელებში. დედალი 4-7 კვერცხს დებს და 2 კვირას კრუხობს. მ. ობობებითა და მწერებით იკვებებიან. ბუნებაში ეს სახეობები შესახედავად თითქმის ერთნაირები არიან, მაგრამ კარგად განირჩევიან ჭიკჭიკით. ორივე სახეობა ბინადრობს ყველა ტიპის ტყეში, მაგრამ თუ მათი არეალების გადაფარვა ხდება, მაშინ ჩვეულებრივი მგლინავა არჩევს წიწვოვან ტყეს, ხოლო მოკლეთითა – ფოთლოვანს.

**რ. უორდანი**

**ა. ბუნნიკაშვილი**

